

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №66

2016 წლის 23 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-9 მუხლის, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-14 დანართის, ICAO-ს ოფიციალური გამოცემების Doc-9476 („მიწისზედა მოძრაობის მართვის სისტემისა და კონტროლის სახელმძღვანელო“), Doc-9830 („გაუმჯობესებული მიწისზედა მოძრაობის მართვის სისტემისა და კონტროლის სახელმძღვანელო“), Doc-9870 („ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე არასანქცირებული შესვლის აღკვეთის სახელმძღვანელო“) და Doc-9137 („აეროპორტების საექსპლუატაციო სახელმძღვანელო“) მოთხოვნების შესაბამისად, **ვბრძანებ მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესი“.

მუხლი 2

1. „საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესი“ ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან, გარდა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლისა.

2. „საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-7 მუხლი ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

3. ამ წესის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი არ ვრცელდება პირებზე, რომელთაც აქვთ აეროდრომის ტერიტორიაზე მძღოლად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის ბრძანება №12 - ვებგვერდი, 23.01.2017წ.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი

გურამ ჯალაღონია

საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების წესი

მუხლი 1. წესის მიზანი და მოქმედების სფერო

1. წესის მიზანია საქართველოს სამოქალაქო აეროდრომების ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების, სპეციალური ტრანსპორტის (შემდგომ - სატრანსპორტო საშუალებები) და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგებული სისტემის შექმნა, სატრანსპორტო საშუალებების საჰაერო ხომალდებთან შეჯახების, აეროდრომის ტერიტორიაზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, აეროდრომის სამანევრო არეზე არასანქცირებული შესვლისა და საავიაციო მოვლენების თავიდან აცილება.

2. წესის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ აეროდრომებზე, საიდანაც სრულდება საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვა.

3. წესი ადგენს საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების, აგრეთვე აეროდრომის ტერიტორიაზე სამომდროოდ/სამუშაოდ დასაშვებად „აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის მოწმობის“



(შემდგომ - მოწმობა) გაცემის პირობებს.

4.წესის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომლებიც აეროდრომის ტერიტორიაზე ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციას და ქვეითად მოძრაობას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს, ამ წესის მიზნებისათვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აეროდრომის კონტროლირებადი ზონა - აეროდრომის პერიმეტრის შიდა სამუშაო ფართობი (ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და სხვ.), მიმდებარე ტერიტორია და შენობები, ან/და მათი ნაწილი, რომლებშიც დაშვებაც კონტროლდება;

ბ) სატრანსპორტო საშუალება - მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ჩვეულებრივ, გამოიყენება აეროდრომის ტერიტორიაზე ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად;

გ) (ამოღებულია - 04.09.2020, №144);

დ) არასანქცირებული შესვლა - ნებისმიერი საავიაციო მოვლენა აეროდრომის ტერიტორიაზე, რომელიც დაკავშირებულია საჰაერო ხომალდის, სატრანსპორტო საშუალების ან ფიზიკური პირის არამართებულ ყოფნასთან იმ დაცულ არეში, რომელიც განკუთვნილია საჰაერო ხომალდის აფრენისა და დაფრენის განსახორციელებლად.

ე) ბუქსირება - საჰაერო ხომალდის ან სატრანსპორტო საშუალების სხვა სატრანსპორტო საშუალების დახმარებით გადაადგილება;

ვ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - ძრავიანი (თვითმავალი) სატრანსპორტო საშუალება, გარდა ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავისა, მოპედისა და მასთან გათანაბრებული სხვა სატრანსპორტო საშუალებისა.

ზ) მძღოლი - აეროდრომის ტერიტორიაზე სამუშაოდ/სამომდრად დაშვებული პირი, რომელიც ფლობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემულ სატრანსპორტო საშუალების შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობას და ამ წესის საფუძველზე გაცემულ მოწმობას.

თ) სამანევრო არე - აეროდრომის ნაწილი, ბაქნების გამოკლებით, რომელიც განკუთვნილია საჰაერო ხომალდების დაფრენის, აფრენისა და მიმოსვლისათვის;

ი) სამანევრო არეში სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი - ფიზიკური პირი, რომელიც სამანევრო არეში, ორგანიზებას უწევს საექსპლუატაციო სამუშაოებს.

კ) სახელსაწყო დაფრენის სისტემების (ILS) კრიტიკული არე - წინასწარ განსაზღვრული ზომების მქონე არე, სადაც აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებების შესვლა, როდესაც ხდება ILS-ის გამოიყენება;

ლ) საწარმო - აეროდრომის ტერიტორიაზე საქმიანობის/ფუნქციის განმახორციელებელი ნებისმიერი იურიდიული პირი;

მ) საჰაერო ხომალდის სადგომი - საჰაერო ხომალდის სადგომად ბაქანზე გამოყოფილი ნაკვეთი;

ნ) საჰაერო ხომალდთან სპეციალური ტრანსპორტის მიდგომა/გასვლაზე პასუხისმგებელი პირი - ფიზიკური პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს საჰაერო ხომალდთან სპეციალური ტრანსპორტის მიდგომას/გასვლას;

ო) სპეციალური ტრანსპორტი - სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება საჰაერო ხომალდების სადგომზე მომსახურებისთვის, ლიდირებისთვის, გაცილებისთვის, აეროდრომის ხელოვნური საფარის საექსპლუატაციო უზრუნველყოფისთვის და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებისთვის, სახანძრო მანქანები;

პ) ქვეითი - აეროდრომის ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულე პირი;



ჟ) ბაქანი – სახმელეთო აეროდრომის განსაზღვრული ფართობი სხ-ების განსაზღვრულად, სხ-ში მზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომის, ტვირთისა და ფოსტის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, საწვავით გამართვის, დგომის ან ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით“;

რ) ასაფრენ-დასაფრენი ზოლის (ადზ)/სამიმოსვლო ბილიკის (სბ) გადაკვეთა – სატრანსპორტო საშუალებით ან სპეციალური ტრანსპორტით, ადზ-ის ან სბ-ის კვეთა დროის მაქსიმალურად მცირე მონაკვეთში;

ს) ადზ/სბ-ს დაკავება – სატრანსპორტო საშუალებით ან სპეციალური ტრანსპორტით, ასევე შესაბამისი პერსონალის მიერ სამანევრო არეს სამშენებლო, სარემონტო, საინსპექციო ან სხვა სამუშაოების განხორციელების მიზნით დაკავება;

ტ) სამიმოსვლო ბილიკი (სბ) – სახმელეთო აეროდრომზე საჰაერო ხომალდების მიმოსვლისთვის და აეროდრომის ერთი ნაწილის მეორესთან დასაკავშირებლად განკუთვნილი ბილიკი, მათ შორის:

ტ.ა) ბაქნის სამიმოსვლო ბილიკი – ბაქანზე განლაგებული სამიმოსვლო ბილიკების სისტემის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ბაქნის გავლით სხ-ის მარშრუტს ან სხ-ის სადგომის სამიმოსვლო ზოლზე წვდომას;

ტ.ბ) სხ-ის სადგომზე სამიმოსვლო ზოლი – ბაქნის ნაწილი, რომელიც აღნიშნულია როგორც ბილიკი და გამოიყენება მხოლოდ სხ-ის სადგომამდე მისასვლელად;

ტ.გ) ჩქაროსნული გამყვანი სამიმოსვლო ბილიკი – ადზ-სთან მახვილი კუთხით მიერთებული სბ, რომელიც დაფრენილ საჰაერო ხომალდს ადზ-დან იმაზე უფრო მეტი სიჩქარით გასვლის საშუალებას აძლევს, ვიდრე ეს სხვა სბ-ზეა შესაძლებელი, რითაც მცირდება ადზ-ის დაკავების დრო;

უ) სამიმოსვლო არე (სამუშაო მოედანი) – აეროდრომის ნაწილი, რომელიც მოიცავს სამანევრო არეს და ბაქანს (ბაქნებს) და განკუთვნილია სხ-ების აფრენა-დაფრენისა და მიმოსვლისათვის;

ფ) შეზღუდული ხილვადობის პროცედურა (LVP) – ქმედებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს აეროდრომის უსაფრთხო ოპერირებას აეროდრომზე ხილვადობის გაუარესების დროს, რომელსაც შეიმუშავენ აეროდრომის ექსპლუატანტი სააერონავსო მომსახურების საწარმოსთან ერთად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 3. საწარმოს ვალდებულებები

1. აეროდრომის ექსპლუატანტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითა მოძრაობის მოწესრიგება, მათ შორის:

ა.ა) უზრუნველყოს აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების, სპეციალური ტრანსპორტისა და ქვეითა მოძრაობის მარშრუტ(ებ)ის დადგენა;

ა.ბ) უზრუნველყოს აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ტრანსპორტისათვის განკუთვნილი, როგორც მუდმივი, ასევე დროებითი გაჩერების არე(ები)ს მოწყობა.

ბ) აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითა მოძრაობის მოწესრიგების უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს აეროდრომის ხელოვნური საფარის შესაბამისი მარკირება, საგზაო ნიშნების მონტაჟი და მონიშვნა დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) შეიმუშაოს „აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითა მოძრაობის მოწესრიგების პროგრამა“;

დ) დანიშნოს აეროდრომის კონტროლირებად ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წესის დაცვაზე ზედამხედველი პირ(ებ)ი.



2. ყველა ის პირი, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით, ესაჭიროება აეროდრომის ტერიტორიაზე გადაადგილდება სატრანსპორტო საშუალებებით, ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ამ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება აეროდრომის ტერიტორიაზე სამუშაოდ, საწარმოს საფირმო ნიშნის/წარწერის დატანა მათი იდენტიფიცირების გამარტივების მიზნით;

ბ) უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მომზადება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან (შემდგომ - სააგენტო) შეთანხმებული „მძღოლის მომზადების პროგრამის“ შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს აეროდრომის ექსპლუატანტის მიერ დადგენილი აეროდრომის ტერიტორიაზე მოძრაობის წესების დაცვა;

დ) გააჩნდეს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 6 მარტის №26 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების განსაზღვრისა და ამ ზონებში დაშვების წესის“ შესაბამისად გაცემული, მოქმედი, პიროვნების საშვი.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 4. აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების სამუშაოდ/სამოძრაოდ დაშვების მოთხოვნები

1. აეროდრომის ტერიტორიაზე სამუშაოდ/სამოძრაოდ დაშვებული ყველა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა გააჩნდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული რეგისტრაციის მოწმობა და რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი).

2. იმ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება რეგისტრაციას და არ ფლობს სახელმწიფო სანომრე ნიშანს, უნდა შეესაბამებოდეს დამამზადებელი ქარხნის ინსტრუქციით დადგენილ მოთხოვნებს და მინიჭებული ჰქონდეს უნიკალური ნომერი იდენტიფიცირების მიზნით.

3. აეროდრომის სამანევრო არეში მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს საბუქსირე, ცეცხლმაქრი, სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით და ყვითელი ან ნარინჯისფერი ციმციმა სიგნალით.

4. საჰაერო ხომალდების მომსახურე სპეციალური ტრანსპორტი აღჭურვილი უნდა იყოს ციმციმა სიგნალით, დაგორების საწინააღმდეგო საბჯენებით და ცეცხლმაქრებით. საჰაერო ხომალდების ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე დაკავებული სპეციალური ტრანსპორტი (სამგზავრო ტრაპები, კეტერინგი, ამბულიფტი, ჩატვირთვა/ჩამოტვირთვის მექანიზმები) დამატებით აღჭურვილი უნდა იყოს საამორტიზაციო მოწყობილობებით.

5. აეროდრომის ტერიტორიაზე დაუშვებელია:

ა) ისეთი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, რომელიც გამოიწვევს აეროდრომის ხელოვნური საფარის დაზიანებებს;

ბ) მუხლუხა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, მუხლუხებზე სპეციალური ზესადებების გარეშე;

გ) იმ სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება/ექსპლუატაცია, რომელსაც არ გააჩნია სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 6 მარტის №26 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული



მუხლი 5. აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების პროგრამა

1. აეროდრომის ტერიტორიაზე მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, აეროდრომის ექსპლუატანტი, შეიმუშავებს „აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების პროგრამას“ (შემდგომ - პროგრამა).
2. პროგრამა, აგრეთვე მასში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას.
3. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროცედურებს, აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, საწარმოების პასუხისმგებლობებს და „აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების განთავსების, ტრანსპორტირებისა და ქვეითთა მოძრაობის სქემატურ ნახაზს“.

მუხლი 6. აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების განთავსების, ტრანსპორტირებისა და ქვეითთა მოძრაობის სქემატური ნახაზი

1. აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების და ქვეითთა მოძრაობა ხორციელდება „აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების განთავსების, ტრანსპორტირებისა და ქვეითთა მოძრაობის სქემატური ნახაზით“ (შემდგომ - სქემა) დადგენილი და მარკირებული მარშრუტებით.
2. სქემა, სულ მცირე, უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) საჰაერო ხომალდების სამიმოსვლო (ბუქსირების) მარშრუტებს;
 - ბ) საჰაერო ხომალდის სადგომებს, ნომრების ჩვენებით;
 - გ) სატრანსპორტო საშუალებების სამოდრაო მარშრუტებს, მოძრაობის სიჩქარეს და პარკირების ადგილებს;
 - დ) სატრანსპორტო საშუალებების საჰაერო ხომალდების სადგომებთან გაჩერების ადგილებს;
 - ე) სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის და გაჩერებისთვის აკრძალულ არეებს;
 - ვ) საგზაო ნიშნების განთავსების ადგილებს;
 - ზ) ქვეითთა მოძრაობის მარშრუტებს.

3. სქემაზე დატანილი სატრანსპორტო საშუალებების სამოდრაო მარშრუტები არ უნდა ემთხვეოდეს საჰაერო ხომალდების სამიმოსვლო მარშრუტების ღერძულა ხაზებს, მათ შორის დაცული უნდა იყოს უსაფრთხო მინიმალური მანძილი.

4. სქემაზე დატანილი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მარშრუტები ბაქნებზე, უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული და ისინი დაცლებული უნდა იყოს სადგომზე მდგომი საჰაერო ხომალდის განაპირა წერტილებიდან არანაკლებ 3 მეტრის მანძილით.

5. სქემაზე ასახული ცალმხრივი სამოდრაო გზების მინიმალური სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3,5 მეტრს, ხოლო ორმხრივი სამოდრაო გზების მინიმალური სიგანე - არანაკლებ 7 მეტრს.

6. ქვეითთა მოძრაობის მარშრუტები ისე უნდა შეიმუშავდეს, რომ საფრთხე არ შეექმნას ქვეითად მოსიარულებს, სატრანსპორტო საშუალებებს და ხმელეთზე მოძრავ საჰაერო ხომალდებს.

7. აეროდრომის ექსპლუატანტი ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს სქემა ყველა იმ იურიდიული და ფიზიკური პირისთვის, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ/გადაადგილდებიან აეროდრომის ტერიტორიაზე.



მუხლი 7. აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოძრაობის მოწესრიგება

1. სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა სამანევრო არეში დაშვებულია მხოლოდ საჰაერო ხომალდი(ებ)ს ლიდირებისა და ბუქსირების დროს, აეროდრომის ხელოვნურ საფარზე მოვლა-შენახვითი სამუშაოების საწარმოებლად, შუქ-ტექნიკური სისტემების სამონტაჟო და საექსპლუატაციო სამუშაოების საწარმოებლად, ინსპექტირების (საინსპექციო შემოწმების) და საგანგებო სიტუაციების დროს.

2. აეროდრომის სამანევრო არეში დაუშვებელია:

ა) სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურის ნებართვის და/ან სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის თანხლების გარეშე;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, მწყობრიდან გამოსული რადიოკავშირის საშუალებით და ციმციმა სიგნალით.

3. სამანევრო არეში სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის სატრანსპორტო საშუალება დამატებით აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური რადიოსადგურით საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურეს და საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის შორის სამუშაო სიხშირის მოსასმენად.

4. მძღოლმა, ნებისმიერმა სატრანსპორტო საშუალებით გზა უნდა დაუთმოს მოძრავ საჰაერო ხომალდ(ებ)ს და საჰაერო ხომალდის ბუქსირებაზე დაკავებულ სპეციალურ ტრანსპორტს.

5. სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარე, საჰაერო ხომალდის სადგომთან და მომსახურების (მიდგომა/გასვლა) ზონაში არ უნდა აღემატებოდეს 5კმ/სთ-ს, ბაქანზე - 30 კმ/სთ-ს, ხოლო აეროდრომის ტერიტორიის სხვა არეებში - 50 კმ/სთ-ს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული სიჩქარის შეზღუდვა არ ვრცელდება სპეციალური ტრანსპორტის მიერ აეროდრომის ხელოვნურ საფარზე სამუშაოების ჩატარებისას და შეჭიდების კოეფიციენტის გაზომვისას, აგრეთვე განგაშის დროს გამოძახებულ სატრანსპორტო საშუალებებზე.

7. საგანგებო სიტუაციების დროს, საავარიო-სამაშველო სამუშაოებში ჩართული/მონაწილე სპეციალური ტრანსპორტი, აეროდრომის ტერიტორიაზე მოძრავი სხვა სატრანსპორტო საშუალების წინაშე სარგებლობს მოძრაობის უპირატესი უფლებით.

8. სატრანსპორტო საშუალებებზე გამოსაჩენ ადგილას (წრიული ხედვის არეში) დამონტაჟებული უნდა იყოს ყვითელი ან ნარინჯისფერი ციმციმა სიგნალი, რომელიც ჩართული უნდა იყოს:

ა) სატრანსპორტო საშუალებების სამანევრო არეში მოძრაობის და სამუშაოების წარმოების დროს;

ბ) საჰაერო ხომალდის სადგომზე საჰაერო ხომალდის მომსახურების ან ხელოვნური საფარის მოვლა-შენახვითი სამუშაოების წარმოების დროს;

გ) აეროდრომის ტერიტორიაზე მოძრაობისას შეზღუდულ ხილვადობასთან დაკავშირებული პროცედურის ამოქმედებისას.

9. ქვეითი ვალდებულია ისარგებლოს მისთვის გამოყოფილი მარშრუტით და გადასასვლელით.

10. აეროდრომის ტერიტორიაზე ქვეითთა გადაადგილება მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 8. სატრანსპორტო საშუალების/სპეციალური ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგება ბაქანზე და საჰაერო ხომალდის სადგომზე

1. ბაქანზე სატრანსპორტო საშუალებების და სპეციალური ტრანსპორტის მოძრაობისას:

ა) ბაქანზე არსებული სამიმოსვლო ბილიკების (ბაქნის სამიმოსვლო ბილიკი, სხ-ის სადგომზე სამიმოსვლო ზოლი) გადაკვეთა შესაძლებელია საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის ან ბაქანზე



საქმიანობის მართვის სამსახურის ნებართვის გარეშე. სბ-ის გადაკვეთა ხორციელდება აეროდრომის ექსპლუატანტის მიერ დადგენილი წესით;

ბ) გადაკვეთის დროს სატრანსპორტო საშუალების/სპეციალური ტრანსპორტის იძულებით ან მიზნობრივად გაჩერების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის ან ბაქანზე საქმიანობის მართვის სამსახურის ინფორმირება (ადგილმდებარეობის და გაჩერების მიზეზი);

გ) დაუშვებელია ბაქანზე არსებული სამიმოსვლო ბილიკების (ბაქნის სამიმოსვლო ბილიკი, სხ-ის სადგომზე სამიმოსვლო ზოლი) დაკავება საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის ან ბაქანზე საქმიანობის მართვის სამსახურის ნებართვის გარეშე.

2. სატრანსპორტო საშუალებების და სპეციალური ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგებისას საჰაერო ხომალდის სადგომზე:

ა) სპეციალური ტრანსპორტის მიდგომა/გასვლას ხელმძღვანელობს საჰაერო ხომალდებთან სპეციალური ტრანსპორტის მიდგომაზე/გასვლაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სწავლება;

ბ) საჰაერო ხომალდებთან სპეციალური ტრანსპორტის მიდგომა/გასვლა ხორციელდება კონკრეტული ტიპის საჰაერო ხომალდისათვის საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის ან/და მწარმოებლის მიერ შემუშავებული, საჰაერო ხომალდების მომსახურებისას სპეციალური ტრანსპორტის მიდგომის, გასვლისა და მანევრირების სქემების შესაბამისად;

გ) სპეციალური ტრანსპორტისთვის, საჰაერო ხომალდის უშუალო მომსახურების დროს გამოყენებული უნდა იყოს დაგორების საწინააღმდეგო ხუნდ(ებ)ი (გარდა საწვავგამმართველი სპეციალური ტრანსპორტისა).

3. სატრანსპორტო საშუალებებისათვის და დამხმარე აღჭურვილობებისათვის, მათი გაჩერების ან დგომის არეებში (EPA/ESA) გაჩერების/დგომის დროს, გამოყენებული უნდა იყოს დაგორების საწინააღმდეგო ხუნდები.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 9. სპეციალური ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგება სამანევრო არეში

1. სამანევრო არეში, აეროდრომის ხელოვნური საფარზე მოვლა-შენახვითი სამუშაოების ან სარემონტო სამუშაოების საწარმოებლად, სპეციალური ტრანსპორტის მოძრაობა ხორციელდება სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმძღვანელობით.

2. სამუშაოს წარმოების პროცესში, სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია განახორციელოს რადიოკავშირის საკონტროლო შემოწმება საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურესთან 15 წუთიანი მონაკვეთების სიხშირით. რადიოკავშირის დაკარგვისას ან მისი არამდგრადობის შემთხვევაში, უნდა შეწყდეს სამუშაოები და სპეციალური ტრანსპორტი გაყვანილ იქნას უსაფრთხო ადგილზე, სახელსაწყო დაფრენის სისტემების (ILS) კრიტიკული არეს ან საფრენი ზოლის გარეთ.

3. სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს დამატებითი რადიოსადგურით, საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურის სამუშაო სიხშირის მოსასმენად, რომელიც მუდმივად უნდა იყოს ჩართული საფრენ ზოლზე მუშაობის დროს.

4. სამანევრო არეში სამუშაოების დასრულების შემდეგ სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ სამუშაოს შესრულების შემდეგ აღარ არსებობს ისეთი ფაქტორები, რაც ხელს შეუშლის ფრენის უსაფრთხოებას და საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურეს გადასცეს ინფორმაცია სამუშაოს დასრულების და სამანევრო არედან სატრანსპორტო საშუალებებისა და დამხმარე ტექნიკური საშუალებების გაყვანა/გატანის თაობაზე.

5. ასაფრენ-დასაფრენი ზოლი სატრანსპორტო საშუალებებისა და დამხმარე ტექნიკური საშუალებებისაგან უნდა განთავისუფლდეს საჰაერო ხომალდის დაფრენის სავარაუდო დრომდე



არანაკლებ 5 წუთით ადრე.

6. სამანევრო არეში სპეციალური ტრანსპორტის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი დაუყოვნებლივ გადასცემს ინფორმაციას მომხდარის შესახებ საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურეს და დაუყოვნებლივ იღებს ზომებს, სამანევრო არედან გაუმართავი ტექნიკის უსაფრთხო მანძილზე გასაყვანად.

7. სამანევრო არეში, სამუშაოების წარმოების დროს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სპეციალურ ტრანსპორტზე ჩართული უნდა იყოს რადიოსადგური, საგაზარტო სინათლე და ციმციმა სიგნალი.

8. საფრენი ზოლი განთავისუფლებულად ითვლება, როდესაც სპეციალური ტრანსპორტი გასცდება სახელსაწყო დაფრენის სისტემების (ILS) კრიტიკულ არეს ან საფრენი ზოლის საზღვრებს.

9. საფრენი ზოლის განთავისუფლების შემდეგ, სპეციალური ტრანსპორტის მძღოლი საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურეს გადასცემს ინფორმაციას საფრენი ზოლის განთავისუფლების შესახებ.

10. სამანევრო არეში დაუშვებელია:

ა) სპეციალური ტრანსპორტის მოძრაობა საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურის ნებართვის გარეშე;

ბ) ტექნიკურად გაუმართავი სპეციალური ტრანსპორტის ექსპლუატაცია;

გ) მძღოლის მიერ, საფრენი ზოლის და სახელსაწყო დაფრენის სისტემების (ILS) კრიტიკული არეს გადაკვეთა საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურის ნებართვის გარეშე.

მუხლი 10. მძღოლის ვალდებულებები

1. აეროდრომის ტერიტორიაზე სამომხრად/სამუშაოდ დაშვებულმა მძღოლმა თან უნდა იქონიოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სატრანსპორტო საშუალების შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მართვის მოწმობა და ამ წესის შესაბამისად გაცემული მოწმობა.

2. მძღოლი ვალდებულია:

ა) დაიცვას სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ექსპლუატაციის და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით სარგებლობის წესები;

ბ) დაიცვას სატრანსპორტო საშუალებების საჰაერო ხომალდის სადგომზე განთავსების, მუშაობის და მოძრაობის წესები;

გ) მიიღოს ზომები ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე, სამიმოსვლო ბილიკზე და ბაქანზე სატრანსპორტო საშუალების მწყობრიდან გამოსვლისას მის უსაფრთხო მანძილზე დაუყოვნებლივ გამოსაყვანად;

დ) გზა დაუთმოს მოძრავ საჰაერო ხომალდებს;

ე) სატრანსპორტო საშუალების მართვა არ მიანდოს სხვა პირს;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ან შეწყვეტის (გაუქმების) შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე დამსაქმებელ საწარმოს;

ზ) სამუშაოების დაწყებამდე, სატრანსპორტო საშუალებების/სპეციალური ტრანსპორტის გამოყენებამდე დარწმუნდეს მათ ტექნიკურ გამართულობაში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 11. მძღოლების მომზადება

1. მძღოლის მომზადება გულისხმობს თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას.



2. მძღოლის თეორიულ მომზადებას უზრუნველყოფს აეროდრომის ექსპლუატანტი, სააგენტოსთან შეთანხმებული „მძღოლის მომზადების პროგრამის“ შესაბამისად.
3. თეორიული მომზადების დასრულების შემდეგ, სასწავლო დაწესებულება ატარებს თეორიულ ტესტირებას წერილობითი ტესტების (საგამოცდო ბილეთების) მეშვეობით.
4. ტესტირების შემდეგ, სასწავლო დაწესებულების მიერ გაიცემა ტესტირების შედეგების შეფასების ფურცელი, რომელიც შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.
5. თეორიული კურსის გავლის შემდეგ, II და III კატეგორიის მიღების მსურველმა მძღოლმა უნდა გაიაროს პრაქტიკული მომზადება.
6. მძღოლების პრაქტიკულ მომზადებას უზრუნველყოფს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული პირი, რომელსაც გააჩნია აეროდრომის ტერიტორიაზე შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაზე მძღოლად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.
7. მძღოლების პრაქტიკული მომზადება ტარდება ყველა იმ კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების ტიპზე, რომელზეც იგეგმება მძღოლის სამუშაოდ დაშვება. პრაქტიკული მომზადების ხანგრძლივობა, თითოეული ტიპის სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 საათს.
8. აეროდრომის ტერიტორიაზე სამომხრად დაშვების შემდეგ საწარმო ვალდებულია ორ წელიწადში ერთხელ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოს მძღოლის მხოლოდ თეორიული მომზადება და ტესტირება.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 12. მძღოლის მომზადების პროგრამა

1. აეროდრომის ექსპლუატანტი შეიმუშავებს და სააგენტოსთან ათანხმებს „მძღოლის მომზადების პროგრამას“.
2. „მძღოლის მომზადების პროგრამა“, კატეგორიების შესაბამისად, სულ მცირე, უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) I კატეგორიისათვის:
 - ა.ა) აეროდრომსა და მის შემადგენელ ნაწილებს;
 - ა.ბ) საგზაო ნიშნებს და მონიშვნებს;
 - ა.გ) „აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების განთავსების, ტრანსპორტირებისა და ქვეითთა მოძრაობის სქემატურ ნახაზს“;
 - ა.დ) აეროდრომის ტერიტორიაზე შეზღუდული ხილვადობის პროცედურის ამოქმედების დროს მოძრაობის წესს;
 - ა.ე) აეროდრომის ტერიტორიაზე მოძრაობისას მძღოლის ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას;
 - ა.ვ) ადამიანური ფაქტორის ასპექტები.
 - ბ) II კატეგორიისათვის:
 - ბ.ა) აეროდრომსა და მის შემადგენელ ნაწილებს;
 - ბ.ბ) საგზაო ნიშნებს და მონიშვნებს;
 - ბ.გ) „აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების განთავსების, ტრანსპორტირებისა და ქვეითთა მოძრაობის სქემატურ ნახაზს“;



ბ.დ) აეროდრომის ტერიტორიაზე შეზღუდული ხილვადობის პროცედურის ამოქმედების დროს მოძრაობის წესს;

ბ.ე) აეროდრომის ტერიტორიაზე მოძრაობისას მძღოლის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას;

ბ.ვ) სპეციალური ტრანსპორტის ექსპლუატაციას, დანიშნულებას და მომსახურებას;

ბ.ზ) საჰაერო ხომალდებთან სპეციალური ტრანსპორტით მიდგომის/გასვლის ხელით გადასაცემ ნიშნებს;

ბ.თ) შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს;

ბ.ი) საჰაერო ხომალდის მომსახურების არეში სპეციალური ტრანსპორტით შესვლისა და საჰაერო ხომალდთან მიდგომის/გასვლის მოთხოვნებს;

ბ.კ) (ამოღებულია - 04.09.2020, №144);

ბ.ლ) (ამოღებულია - 04.09.2020, №144);

ბ.მ) ადამიანური ფაქტორის ასპექტები.

გ) III კატეგორიისათვის:

გ.ა) აეროდრომსა და მის შემადგენელ ნაწილებს;

გ.ბ) საგზაო ნიშნებს და მონიშვნებს;

გ.გ) „აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების განთავსების, ტრანსპორტირებისა და ქვეითთა მოძრაობის სქემატურ ნახაზს“;

გ.დ) აეროდრომის ტერიტორიაზე შეზღუდული ხილვადობის პროცედურის ამოქმედების დროს მოძრაობის წესს;

გ.ე) აეროდრომის ტერიტორიაზე მოძრაობისას მძღოლის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას;

გ.ვ) სპეციალური ტრანსპორტის ექსპლუატაციას, დანიშნულებას და მომსახურებას;

გ.ზ) სპეციალური ტრანსპორტით სამანევრო არეს დაკავების/განთავისუფლების და საფრენი ზოლის გადაკვეთის წესს.

გ.თ) რადიოკავშირის წარმოების წესსა და ფრაზეოლოგიას.

გ.ი) რადიოკავშირის მტყუნების დროს მოქმედების წესს;

გ.კ) შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს;

გ.ლ) (ამოღებულია - 04.09.2020, №144);

გ.მ) (ამოღებულია - 04.09.2020, №144);

გ.ნ) ადამიანური ფაქტორის ასპექტები.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის ბრძანება №205 - ვებგვერდი, 24.12.2020წ.



მუხლი 13. მძღოლის კატეგორიები

1. აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის მიზნით, მძღოლს, სამსახურებრივი ვალდებულებიდან გამომდინარე, ენიჭება შემდეგი კატეგორიები:

ა) I კატეგორია - აეროდრომის ტერიტორიაზე, მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილ გზებზე სამოძრაოდ.

ბ) II კატეგორია - აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილ გზებზე სამოძრაოდ, საჰაერო ხომალდის სადგომზე შესვლისა და საჰაერო ხომალდის მომსახურების უფლებით.

გ) III კატეგორია - აეროდრომის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილ გზებზე და სამანევრო არეზე სამოძრაოდ.

2. ინფორმაცია, თუ რას უნდა მოიცავდეს მოწმობა, მოცემულია №1 დანართში.

3. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მძღოლს მიენიჭოს ერთდროულად ორი კატეგორია.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 14. მოწმობის გაცემა, მოქმედების ვადის გაგრძელება, გამოცვლა და გაუქმება

1. მოწმობის გაცემას, მოქმედების ვადის გაგრძელებას, გამოცვლას და გაუქმებას ახორციელებს და მოწმობის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების, გამოცვლისა და გაუქმების პროცედურას შეიმუშავებს აეროდრომის ექსპლუატანტი.

2. მოწმობა გაიცემა 2 წლის ვადით.

3. (ამოღებულია - 04.09.2020, №144).

4. მოწმობის გაუქმება ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) აეროდრომის ტერიტორიაზე მოძრაობის წესების დარღვევისას, კერძოდ, ერთი წლის განმავლობაში მოწმობაში სამი დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში;

ბ) მძღოლის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია/შეიძლება გამოიწვიოს საავიაციო შემთხვევა/ინციდენტი;

გ) იმ საწარმოს წერილობითი მოთხოვნით, რომლის შუამდგომლობითაც იყო გაცემული მოწმობა.

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევის ან შეწყვეტისას (გაუქმებისას);

ე) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

1. მოწმობის გაუქმების თაობაზე აეროდრომის ექსპლუატანტი აცნობებს შესაბამის საწარმოს.

2. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაუქმებული მოწმობის აღდგენა შესაძლებელია ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მომზადების თავიდან გავლის შემთხვევაში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 09.09.2020წ.

მუხლი 15. პასუხისმგებლობა ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობაზე

1. პასუხისმგებლობა ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობაზე, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ წესით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო.

